ს ს ი პ - გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს მ ა რ თ ვ ი ს ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ს ი ს ტ ე მ ა
LEPL - EDUCATION MANAGEMENT INFORMATION SYSTEM

თ ბ ი ლ ი ს ი, 0160, ფ ა ნ ჯ ი კ ი ძ ი ს ქ. №1ა www.emis.ge ელ.ფ ო ს ტ ა: info@emis.ge ტ ე ლ.: +995 322 200220
№1a Panjikidze st, 0160, Tbilisi, Georgia www.emis.ge E-mail: info@emis.ge Phone: +995 322 200220

MES 4 21 0000067607

05/02/2021

ფაქტ-მეტრის რედაქტორს
ბატონ მალხაზ რეხვიაშვილს
ელ.ფოსტა:nanovero71@gmail.com

ბატონო მალხაზ,

სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ განიხილა თქვენი 2021 წლის 27 იანვრის განცხადება და
გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 15 სექტემბრის №154/ნ ბრძანების მე-5 მუხლის თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის თანხის გადარიცხვას ახორციელებს პირველი ნოემბრის (სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის შემთხვევაში – 15 ნოემბრის) და პირველი აპრილისთვის. შესაბამისად, 2013 წლიდან მოყოლებული, ინახავს ბაზის ასლებს და ინფორმაციას სტატუსშეჩერებული სტუდენტების შესახებ გასცემს მხოლოდ ამ თარიღების შესაბამისად ან მიმდინარე თარიღით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დანართის სახით გიგზავნით სტატუსშეჩერებული სტუდენტების სტატისტიკას 2018-2020 წლების პირველი ნოემბრის მდგომარეობებით.

გაცნობებთ აგრეთვე, რომ მოქმედი კანონმდებლობით სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება დაწესებულებისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი შესაძლოა იყოს სტუდენტის პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე); უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა; ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება; ფინანსური დავალიანება ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით გათვალისწინებული სხვა გარემოება. შესაბამისად, ზემოაღნიშნული სტატისტიკური ინფორმაციის ფორმირება განხორციელდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში არსებულ მონაცემების საფუძველზე ყველა მითითებული მიზეზის გათვალისწინებით, როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტების შესახებ.

დანართი 1 ფაილი

პატივისცემით,

სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
სისტემის უფროსი
ბერიძე დიმიტრი